სს ,,ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 7

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 10-24

Contents

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები 18
4. ამონაგები 18
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება 19
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 19
7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი 19
8. დაბეგვრა 19
9. ძირითადი საშუალებები 20
10. მარაგები 21
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
13. პირობითი ვალდებულებები 21
14. უცხოური ვალუტის რისკი 22
15. საკრედიტო რისკი 23
16. ლიკვიდურობის რისკი 23
17. კაპიტალის მართვა 24
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 24

17 აპრილი 2019 წელი № 80-ა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის
დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის (შემდგომში ,,კომპანია") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებულ სრული შემოსავლებისა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ). ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ს, აგრეთვე საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკურ და სხვა მოთხოვნებს. შესაბამისად, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის
საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს;
- ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადექვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ
  ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ კომპანიის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბსა და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის კობა ბერაძე.

კობა ბერაძე (რეგ. № SARAS-A-240325)
შპს „კომპაუდის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-519441)

17 აპრილი 2019 წ

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	**10**	29,234,804.74	28,447,145
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	**10**	1,831	3,154
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5,110,444	5,111,444
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		**34,347,080**	**33,561,744**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	**7**	1,533,466	1,559,511
გაცემული ავანსები		-	-
მოკლევადიანი მოთხოვნები	**8**	975,807	1,320,021
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**9**	1,077,881	1,298,077
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		**3,587,155**	**4,177,608**
სულ აქტივები		**37,934,235**	**37,739,352**
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		769,671	520,650
გადასახდელი ხელფასები		86,719	542,608
მოკლევადიანი სესხები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		34,258	15,091
დარიცხული გადასახდელი დივიდენდი		-	-
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		**890,648**	**1,078,349**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	**10**	90,548	65,304
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**90,548**	**65,304**
მთლიანი ვალდებულებები		**981,197**	**1,143,653**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		40,384,864	37,947,196
სარეზერვო კაპიტალი		4,567,920	4,567,920
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(2,080,329)	(655,166)
დაუფარავი ზარალი		(5,919,416)	(5,264,250)
მთლიანი კაპიტალი		**36,953,038**	**36,595,699**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**37,934,235**	**37,739,352**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

ზაზა ავალიანი
დირექტორი
2019 წლის 19 აპრილი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	15,607,016	15,121,831
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12	(11,654,444)	(10,815,048)
საერთო მოგება		**3,952,571**	**4,306,783**
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(3,270,822)	(3,007,461)
ცვეთის ხარჯი		(1,748,698)	(1,613,648)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(528,695)	(354,536)
მთლიანი საოპერაციო მოგება		**(1,595,644)**	**(668,862)**
კურსთა შორის სხვაობა		(192,364)	(25,723)
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		12,135	16,413
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	14	(304,457)	23,005
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(2,080,329)**	**(655,166)**
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		**(2,080,329)**	**(655,166)**

ხელმძღვანელობის სახელით:

ზაზა ავალიანი
დირექტორი
2019 წლის 19 აპრილი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	სულ
1 იანვარი, 2017	**24,258,399**	**14,252,868**	**(5,264,250)**	-	**33,247,017**
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	-		(655,166)	**(655,166)**
საწესდებო კაპიტალი	13,688,797	(9,684,948)	-	-	**4,003,849**
1 იანვარი, 2018	**37,947,196**	**4,567,920**	**(5,264,250)**	**(655,166)**	**36,595,699**
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	(2,080,329)	**(2,080,329)**
საწესდებო კაპიტალი	2,437,668	-	-	-	**2,437,668**
31 დეკემბერი, 2018	**40,384,864**	**4,567,920**	**(5,264,250)**	**(2,735,495)**	**36,953,038**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

ზაზა ავალიანი **მთავარი ბუღალტერი**
დირექტორი
2019 წლის 19 აპრილი
თბილისი, საქართველო

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგანმიღებული ფულადი სახსრები	14,113,105	13,991,738
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12,399,570)	(11,544,417)
გადახდილი გადასახადები	(1,955,121)	(1,767,543)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**(241,586)**	**679,778**
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,760)	
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	26,150	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**21,390**	**-**
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან		**-**
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	**(220,196)**	**679,778**
ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში	**1,298,077**	**618,299**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,077,881**	**1,298,077**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____ _____

ზაზა ავალიანი
დირექტორი
2019 წლის 19 აპრილი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „საზოგადოება") დაარსდა 2001 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა.
კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, აჭარის N8 მამულაშვილის 50.
2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო
კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილს:
შპს „თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი", შპს „თბილისის №2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი", შპს „თბილისის №5 ტუბდისპანსერი", შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო", რომელშიც 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 100%-იან წილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან მომზადებული და დამტკიცებულია 2018 წლის 17 აპრილს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.
ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:
• აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
• იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
• შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

• კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;

• კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;

• სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

• ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და

ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება

2.3 გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

• *ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა*

- *ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).*

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის

გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით “ - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე.

ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 28-ში “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა

ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგალითად, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული
საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯული ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ეს შესწორებები პერსპექტიულია და კომპანია მათ გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ

ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში.

ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას. თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

2.6 ფინანსური აქტივები

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად
ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.
მოთხოვნებისა და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.
კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

2.7 ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.
საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.8 ამონაგები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.
სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.
კომპანიის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვეო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.
სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.
სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.
ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

2.9 საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით)
ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.10 სხვა შემოსავალი

სამედიცინო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.11 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

2.12 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.13 მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში ‘გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა’ საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.14 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.15 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-25
სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	5-15
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა
არამატერიალური აქტივები	არ ერიცხება ცვეთა

2.16 მატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერილაური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.17 საანგარიშგებო პერიოდის შემგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.18 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალე-ობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავა-რაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სახელმწიფო პროგრამები	9,055,705	8,866,772
შიდა სტანდარტი	1,152,781	1,150,930
დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2,572,206	2,349,705
სხვა	2,826,324	2,754,424
	15,607,016	**15,121,831**

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეულის ღირებულება	(2,551,280)	(2,792,393)
შრომის ანაზღაურება	(8,316,022)	(7,349,251)
პაციენტების ტრანსპორტირება	(164,640)	(237,872)
დისპანსერების შესრულება	(622,503)	(435,532)
	(11,654,444)	**(10,815,048)**

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	(1,888,560)	(1,807,810)
საიჯარო გადასახადი	-	(32,004)
კომუნალური ხარჯები	(661,230)	(640,927)
ტრანსპორტის ხარჯები	(222,586)	(247,309)
მიმდინარე რემონტი	(150,465)	(175,074)
მივლინების ხარჯები	(316,161)	(88,612)
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	(15,427)	(8,198)
გადასახადები	(16,393)	(7,527)
	(3,270,822)	**(3,007,461)**

7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საიჯარო შემოსავალი	42,700	59,300
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	38,466	13,773
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(385,623)	(50,067)
	(304,457)	**23,005**

8. დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

9. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება					
დეკემბერი 31, 2016	**1,040,138**	**26,921,647**	**7,027,506**	**915**	**34,990,206**
მატება	2,521,113	2,766,762	663,537	2,239	**5,953,652**
კლება			(12,464)		**(12,464)**
დეკემბერი 31, 2017	**3,561,251**	**29,688,409**	**7,678,579**	**3,154**	**40,931,394**
მატება	3,150	2,400,000	161,217		**2,564,367**
კლება			(246,668)		**(246,668)**
დეკემბერი 31, 2018	**3,564,401**	**32,088,409**	**7,593,128**	**3,154**	**43,249,092**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					-
დეკემბერი 31, 2016		(6,269,186)	(3,789,987)		**(10,059,173)**
მიმდინარე წლის ცვეთა		(1,941,365)	(493,510)		**(2,434,875)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე		4,215	5,577		**9,792**
დეკემბერი 31, 2017	**-**	**(8,206,336)**	**(4,277,920)**	**-**	**(12,484,256)**
მიმდინარე წლის ცვეთა		(1,125,147)	(575,741)	(1,323)	**(1,702,211)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე			172,172		**172,172**
დეკემბერი 31, 2018	**-**	**(9,331,483)**	**(4,681,490)**	**(1,323)**	**(14,014,295)**
წარჩენი ღირებულება					-
დეკემბერი 31, 2016	**1,040,138**	**20,652,461**	**3,237,519**	**915**	**24,931,033**
დეკემბერი 31, 2017	**3,561,251**	**21,482,074**	**3,400,659**	**3,154**	**28,447,137**
დეკემბერი 31, 2018	**3,564,401**	**22,756,927**	**2,911,638**	**1,831**	**29,234,797**

10. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეული და მასალები	1,533,466	1,559,511
	1,533,466	**1,559,511**

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოთხოვნები მომსახურებიდან	1,105,142	1,416,077
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(129,535)	(129,535)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	200	33,479
	975,807	**1,320,021**

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	110	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	388,826	262,784
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	688,946	1,035,293
	1,077,881	**1,298,077**

13. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა

და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას (შენიშვნა 11), პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1,077,881	1,298,077
გაცემული სესხები	-	-
ნასესხები თანხები	-	-
სხვა ვალდებულებები	890,648	1,078,349
	1,968,530	**2,376,426**

14. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველსად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარში და ევროშია დენომინირებული

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

	აქტივები	პასივები
	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2018
USD	84,294	-
EUR	575,744	-
სხვ.	-	
ჯამი	**660,037**	**-**

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

	გავლენა აქტივის 2018		გავლენა პასივის 2018	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
მოგება/(ზარალი)	132,007	(132,007)	-	-

15. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა სამშენებლო მასალების წარმოება.
საკრედიტო რისკის საფრთხე 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	975,807	1,320,021
ფული და ფულის ექვივალენტები	1,077,881	1,298,077
	2,053,688	**2,618,098**

16. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.
ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირი თანხის ფულად ნაკადებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	-	-	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	890,648	890,648	890,648	-	-	-
	890,648	**890,648**	**890,648**	**-**	**-**	**-**

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის გარე სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნები.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი

	2018	2017
უმაღლესი რანგის ანაზღაურება	**578 305**	**485835**

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა

17 აპრილი 2019 წელი № 84-ა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ სს ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა და მისი შვილობილებილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირბულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა

ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობით ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის კობა ბერაძე.

კობა ბერაძე (რეგ. № SARAS-A-240325)
შპს „კომპაუდის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-519441)

17 აპრილი 2019 წ



კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

თბილისი
2019 წელი

ჯგუფი და მისი მართვა

აქციონერთა საერთო კრება

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ შვილობილი კომპანიებით (შემდგომში „ჯგუფი“) 100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფ კომპანიებისაგან შედგენილი ჯგუფია. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ჯგუფის მართვის უმაღლეს ორგანოს და საკუთარი საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

ჯგუფის მართვა

აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ჯგუფში შემავალ თითოეულ კომპანიაში ანხორციელებს დირექტორი.

მართვის სტრუქტურა

ჯგუფის თითოეულ კომპანიაში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია კომპანიის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

1.1. საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის თითოეული კომპანია 100% სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი კომპანიაა და თითოეული წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა.

2017 წლის 28 დეკემბერის დადგენილება №592 „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საზოგადოების სახეწლმწიფო პროგრამულ მიზანს ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია წარმოადგენს.

ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში, ხოლო ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ტუბერკულოზის მხრივ კვლავაც შემაშფოთებელია, უპირველეს ყოვლისა წამალ- რეზისტენტული ტუბერკულოზის ტვირთის გამო, რომელიც ბოლო დროინდელი პოზიტიური ტენდენციების უარესობისკენ შეცვლისა და დაავადების საერთო ეკონომიკური და სოციალური ტვირთის შემდგომი ზრდის საფრთხეს წარმოადგენს. არსებული პრობლემების ეფექტურად გადასაწყვეტად საელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა ტუბერკულოზის

კონტროლის ეროვნული სტრატეგია „შეაჩერე ტუბერკულოზი“, რომლის მიზანი საქართველოში ტუბერკულოზის მათ შორის განსაკუთრებით M/XDR (მულტი/ექსტენსიური რეზისტენტული) ტუბერკულოზის გავრცელების შეჩერება (ხარისხიანი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა) და მისი ტვირთის შემცირება წარმოადგენს.

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ ოპერირებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე და მის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე და საქართველოში მყოფი ბაქტერია გამომყოფი (მგბ+) პირები და პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები, კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

1.2. ჯგუფის განვითარების გეგმები

ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში, ხოლო ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ტუბერკულოზის მხრივ კვლავაც შემაშფოთებელია, უპირველეს ყოვლისა წამალ- რეზისტენტული ტუბერკულოზის ტვირთის გამო, რომელიც ბოლო დროინდელი პოზიტიური ტენდენციების უარესობისკენ შეცვლისა და დაავადების საერთო ეკონომიკური და სოციალური ტვირთის შემდგომი ზრდის საფრთხეს წარმოადგენს. არსებული პრობლემების ეფექტურად გადასაწყვეტად საელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია „შეაჩერე ტუბერკულოზი“, რომლის მიზანი საქართველოში ტუბერკულოზის მათ შორის განსაკუთრებით M/XDR (მულტი/ექსტენსიური რეზისტენტული) ტუბერკულოზის გავრცელების შეჩერება (ხარისხიანი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა) და მისი ტვირთის შემცირება წარმოადგენს.

მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები

- ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის;
- Xpert MTB/RIF ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვა
- ტუბერკულოზის დიაგნოსტიკური გამოკვლევები რეგიონულ და ეროვნულ დონეზე
- კონტაქტების გამოკვლევა, სკრინინგი და ტუბერკულოზის შემთხვევების აქტიური გამოვლენა მაღალი რისკი ჯგუფებში, მათ შორის აივ-ით მცხოვრებ ადამიანებში
- ხარისხიან მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის პაციენტის სათანადო მხარდაჭერა;
- ტუბ-საწინააღმდეგო პრეპარატების მოწოდება და წამლის მენეჯმენტის სისტემა
- პაციენტების მხარდაჭერა ტუბერკულოზის სამკურნალო რეჟიმის დაცვის გასაუმჯობესებლად

- მკურნალობის მონიტორინგი, წამლის გვერდითი რეაქციების და თანმხლები დაავადებების მართვა
- ტუბერკულიოზური ინფექციის კონტროლი ჯანდაცვის დაწესებულებებში
- ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრევენციული მკურნალობა და ვაქცინაცია
- მხარდამჭერი გარემოს და სისტემების შექმნა ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის მიზნით.
- ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის სუპერვიზირება, მონიტორინგი და შეფასება
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, ადვოკატირება, კომუნიკაცია და სოციალური მობილიზაცია (ACSM) ტუბერკულოზის კონტროლის მიზნით
- ტუბერკულოზის კონტროლის პრიორიტეტული სფეროების კვლევა
- დისტანციური სწავლების პროგრამები - ჯანდაცვის მუშაკების უკეთ მოცვის და მათთვის ტრენინგის მასალებზე რეგულარული წვდომის უზრუნველსაყოფად, გლობალური ფონდის დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში წარდგენილ განაცხადში გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო კურსების შემუშავება ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და MDR TB-ს მართვის სხვადასხვა ასპექტებზე. კომპიუტერული ტრენინგი ბევრი ქართველი ექიმისთვის იქნება ტუბერკულოზთან დაკავშირებული კომპეტენციების დახვეწის კარგი საშუალება.
- მოსახლეობისათვის მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით ტუბერკულოზის, ფილტვის დაავადებათა, პრევენციის, მკურნალობის, ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის და „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“–ს შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება;
- ორგანიზაციის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება ტექნიკური გადაიარაღება;
- შიდა სტანდარტული მომსახურებების გაფართოება, ახალი მანიპულაციების დამატება და მათი ტარიფების შემუშავება;
- ტუბერკულოზის მკურნალობის პროცესში თანამედროვე მეთოდების და ახალი ეფექტური მედიკამენტების გამოყენება;
- ტუბერკულოზის გავრცელების პრევენციის მიზნით მოსახლეობისათვის მასმედიის საშუალებებით მეტი ინფორმაციის მიწოდება;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზება;

- სახელმწიფო პროგრამების მიღმა სხვა ალტერნატიული რესურსებიდან (შიდასტანდარტული
  მომსახურებიდან, საერთაშორისო დონორებიდან და ა.შ.) შემოსავლების ზრდა
- პაციენტთა მომსახურების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაფართოება
- მომსახურების ხარისხის, საიმედობის და შესაბამისად საწარმოს იმიჯის გაუმჯობესება

განვითარების რესურსები

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირების საშუალებით საჭირო ინფორმაციული, ინტელექტუალური, მატერიელური რესურსების მოძიება, მობილიზება და მათი რეალიზება
- არსებული მაღალკვალიფიციური ექიმების ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება შიდა სტანდარტული მომსახურების შემოსავლების ზრდის მიზნით
- შვილობილი კომპანიების (ტუბდისპანსერების) საშუალებით სამედიცინო სერვისებზე ტერიტორიალური ხელმისაწვდომობის გაფართოება

1.3. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“–ს სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით, საწესდებო კაპიტალში შეტანის გზით გადმოეცა ოთხი ტუბსაწიინააღმდეგო დისპანსერის 100% აქციები, რომლებიც შესაბამისად საწარმოს შვილობილ კომპანიებს წარმოადგენენ და 2017 წლის 28 დეკემბერის დადგენილება №592 „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ როგორც საზოგადოების აგრეთვე მისი შვილობილი საწარმოების მიზანს სახეწლმწიფო პროგრამის თანახმად, ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია წარმოადგენს. ჯგუფის შვილობილი კომპანიებია:

1. შპს ,,აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“;
2. შპს „შპს თბილისის N1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი“;
3. შპს „შპს თბილისის N2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი“;
4. შპს „შპს თბილისის N5 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი“.

შპს ,,აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“-ს გარდა ყველა შვილობილი კომპანიები ახორციელებენ მხოლოდ ამბულატორიულ მომსახურებას.

1.4. შიდა კონტროლის სისტემა

ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელობის, მენეჯმენტის და სხვა თანამშრომლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის, ორგანიზაციული ღონისძიებების, პროცედურებისა და მოქმედებების ერთიანობას, რომელთაც უნდა

უზრუნველყონ საზოგადოების მიზნების მიღწევის გონივრული რწმენა და მისაღებ დონემდე რისკების შემცირება.

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია საზოგადოების, მისი ცალკეული ქვედანაყოფების, საზოგადოების მართვის ორგანოების თანამდებობის პირების და საზოგადოების აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან, საზოგადოების წესდებასა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაზე.

შიდა კონტროლის სფეროში სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ ხელმძღვანელობს შემდეგი მიდგომებით:

- ✓ კორპორაციული მართვის და შიდა კონტროლის ორგანიზების და ეფექტურობის შეფასებისას შიდა კონტროლის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ✓ საზოგადოების ეფექტური კონტროლის გარემოს შექმნა იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების საშუალებით, რომელთაც ახორციელებს ხელმძღვანელობა მართვის ყველა დონეზე;
- ✓ შიდა კონტროლის ყველა სუბიექტს შორის ინფორმაციის გაცვლის საიმედო და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, მათ მიერ შიდა კონტროლის ფუნქციებისა და პროცედურების სათანადოდ შესრულების მიზნით;
- ✓ შიდა კონტროლის პროცესების ეფექტურობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემა ასევე მოიცავს:

- ✓ კორპორაციული მართვის საიმედოობის და ეფექტური ფუნქციონირების კონტროლი;
- ✓ გარე აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობის და ობიექტურობის უზრუნველყოფა;
- ✓ გარე აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობასა და აუდიტორული შემოწმების შესრულებისა და აუდიტორთა დასკვნების შესრულების ხარისხის შეფასება;
- ✓ კონტროლი უზრუნველყოფას საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების სისრულეზე, სიზუსტესა და უტყუარობაზე;
- ✓ საზოგადოების მუშაკებისა და მესამე პირების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პოტენციური შემთხვევების (ინსაიდერული ან კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი გამოყენების ჩათვლით), ასევე საზოგადოებაში სხვა დარღვევების შესახებ შეტყობინების სისტემის ფუნქციონირების კონტროლი;
- ✓ კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ზომებზე მუშაკების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების ან სხვა დარღვევების პოტენციური შემთხვევების ინფორმირების ფაქტებთან დაკავშირებით.

1.5. საკადრო პოლიტიკა და სოციალური საკითხები

1.5.1. საკადრო პოლიტიკა

საზოგადოება მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

ახალ თანამშრომელს პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. თანამშრომელს

მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

თანამშრომლის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავისი ანაზღაურება.

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი შემადგენელების მეშვეობით, როგორიცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომითი კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოების მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად და პროფესიონალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის გამოცდილების გამომუშავებაზე. მოცემული პროგრამის მთავარი მიზანია მუშაკების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების (მოვალეობების) შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართ მოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტის ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავებების დასაძლევად (პროფესიული განვითარება).

მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ საკადრო პოლიტიკა აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. პერსონალის მართვის სისტემის ურთიერთკავშირი საზოგადოების საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკურ შედეგებთან;
2. საკადრო სტრატეგიის და პოლიტიკის მოქნილობა;
3. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის შრომითი პოტენციალის განვითარებაზე;

მუშაკების ანაზღაურება მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე;

1.5.2. სოციალური საკითხები

საწარმო ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის წელიწადში ერთხელ უფასო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებით.

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და საწარმოს თანამშრომლებს მაღალი რისკის სფეროში უწევთ მოღვაწეობა. რათა მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს მწირი კვალიფიციური პერსონალის კერძო სექტორში გადინება და საწარმომ შეძლოს მასზე სახელმწიფოს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრების განსაკუთრებით საქმედიცინო პერსონალის შენარჩუნებას/მოტივაციის პროცესს და მათი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული კონკურენტული ანაზღაურებით უზრუნველყოფას. დასახული მიზნის მისაღწევად საწარმოს

ხელმძღვანელობა ცდილობს განავითაროს მომსახურების დამატებითი მიმართულებები, კერძოდ კი შიდა სტანდარტული მომსახურების მიმართულებით დაინერგოს ახალი მანიპულაციები, გაიზარდოს პაციენტთა ნაკადი და მაქსიმალურად ხელი შეეწყოს სახელობითი სამეცნიერო კვლევის პროგრამებში მონაწილეობას.

1.6. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1.6.1. არაფინანსური მაჩვენებლები

1.6.1.1. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

ჯგუფი ზრუნავს გარემოსდაცვაზე და ნარჩენების მართვას ახორციელებს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. სამედიცინო ნარჩენების განადგურება-უტილიზაცია ხორციელდება ტენდერში გამარჯვებული სპეციალიზირებული კონტრაქტორი კომპანიის საშუალებით.

საწარმო გარემოს დაცვის და ნარჩენების მართვის კუთხით ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- საწარმოს ფუნქციონირებისას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დაგეგმვა და კონტროლი
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილება და მავნე ზემოქმედების კონტროლი

თანამშრომელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით

1.6.1.2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

დასახელება	2018 მოგება ზარალი (კონსოლიდირებული)
სულ შემოსავალი	12,780,691.98
პროდუქციის თვითღირებულება	(11,654,444.28)
საერთო მოგება	**1,126,247.70**
სხვა შემოსავლები	2,826,323.77
კომერციული, ადმინისტრაციული და საერთი ხარჯები	(2,881,377.75)
სხვა ხარჯები	(2,666,837.63)
საოპერაციო მოგება/ზარალი	**(1,595,643.91)**
არასაოპერაციო შემოსავალი	189,998.69
არასაოპერაციო ხარჯი	(674,684.04)
წმინდა მოგება	**(2,080,329.26)**

დასახელება	2018 ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი (კონსოლიდირებული)
ფულადი სახსრები პეროდის დასაწყისში	1,298,077.01
სულ ფულადი სასხრების შემოსავალი	14,139,255.04
სულ ფულადი სახსრების გადინება	(14,359,450.64)
ფულადი სახსრები პეროდის ბოლოს	1,077,881.41

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია ფინანსური და არაფინანსური რისკები

2.1. ფინანსური რისკები

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება
- ენერგომატარებლებზე და წყალზე ფასების ზრდა
- სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების ზრდა
- მასალა ნედლეულზე (წამლები, რაქტივები და ა.შ) ფასების ზრდა
- პაციენტთა რაოდენობის შემცირება (ერთის მხროვ საწარმოს მიზანს ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხოვნების შემცირება , ხოლო მოერეს მხრივ საწარმოსთვის მოგების მიღება წარმოადგენს)

ფინანსური რისკების შემცირებისათვის საწარმო წლის დასაწყისში კანონის შესაბამისად ტენდერის სახით ახდენს საწვავის, სამომხმარებლო პროდუქციის, სამედიცინო პროდუქციის შეძენას.

2.2. არაფინანსური რისკები :

- დაავადების საწარმოს ტერიტორიიდან გავრცელების რისკი
- სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა
- სამედიცინო-სამკურნალო საშუალებების (წამლები, რეაქტივები და ა.შ) მიმოქცების მონიტორინგი და კონტროლი

არაფინასური რისკების მართვისათვის შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო ალგორითმი..

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და მისი გავრცელების რისკი დაავადებულთა ასეთი რაოდენობის კონცენტრაციის პირობებში ძალიან მაღალია. ხსენებული რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე ყველა დანაყოფში ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სადიზინფექციო და ტუბერკულოზით ჯანმრთელი ადამიანის ინფიცირების წინააღმდეგ შემუშავებული პროგრამა. თითიეულ თანამშრომელს უტარდება სპეციალური ინსტუქტაჟი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ამასთან ერთად საწარმოს სამედიცინო და ადმინისტრაციული ნაწილი შენობებში ისეა განლაგებული, რომ მათ ერთანეთთან კვეთა არ აქვთ. პაციენტებთან მხოდოდ სამედიცინო პერსონალს შესაბამისი პირობის დაცვით უწევს ურთიერთობა.

სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება გამართული აპარატურით, ხოლო დაზიანებული ტექნიკის აღსადგენად მისი სათადარიგო ნაწილის შეცვლა.

იქიდან გამომდინარე რომ ვადაგასული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში პაციენტთან მიმართებაში სავალალო შედეგით შეიზლება დასრულდეს, კომპანიაში შექმნილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა , რომელიც საშუალება იძლევა წინასწარ დროულად ამოვიდეს ბრუნვიდან საწარმოში არსებული შესაბამისი სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები. ბუნვიდან ამოღებული ვადაგასული სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები, ინახება სპეციალურ საწყობში და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით ჩამოწერას და განადგურებას/ უტილიზაციას.

ზაზა ავალიანი
დირექტორი

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....7

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 10-24

Contents

1. ზოგადი ინფორმაცია.....10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები.....18
4. ამონაგები.....18
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება 19
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....19
7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....19
8. დაბეგვრა.....20
9. ძირითადი საშუალებები 21
10. მარაგები.....22
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....22
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 22
13. პირობითი ვალდებულებები.....22
14. უცხოური ვალუტის რისკი.....23
15. საკრედიტო რისკი 24
16. ლიკვიდურობის რისკი.....24
17. კაპიტალის მართვა 25
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....25

17 აპრილი 2019 წელი № 80-ა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის
დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის (შემდგომში ,,კომპანია") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვეკონსოლიდირებულ სრული შემოსავლებისა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირიოადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით,კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიისკონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ). ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ს, აგრეთვე საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკურ და სხვა მოთხოვნებს. შესაბამისად, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამკონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის
საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომკონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს;
- ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადექვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის ძომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ კომპანიის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბსა და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის კობა ბერაძე.

კობა ბერაძე (რეგ. № SARAS-A-240325)
შპს „კომპაუდის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-519441)

17 აპრილი 2019 წ

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარ.ღირებულება	10	29,234,804.74	28,447,145
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	10	1,831	3,154
სხვა გრძელვადიანი აქტივები		5,110,444	5,111,444
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		**34,347,080**	**33,561,744**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	1,533,466	1,559,511
გაცემული ავანსები		-	-
მოკლევადიანი მოთხოვნები	8	975,807	1,320,021
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	1,077,881	1,298,077
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		**3,587,155**	**4,177,608**
სულ აქტივები		**37,934,235**	**37,739,352**
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		769,671	520,650
გადასახდელი ხელფასები		86,719	542,608
მოკლევადიანი სესხები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		34,258	15,091
დარიცხული გადასახდელი დივიდენდი		-	-
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		**890,648**	**1,078,349**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	90,548	65,304
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**90,548**	**65,304**
მთლიანი ვალდებულებები		**981,197**	**1,143,653**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		40,384,864	37,947,196
სარეზერვო კაპიტალი		4,567,920	4,567,920
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(2,080,329)	(655,166)
დაუფარავი ზარალი		(5,919,416)	(5,264,250)
მთლიანი კაპიტალი		**36,953,038**	**36,595,699**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**37,934,235**	**37,739,352**

ხელმძღვანელობისსახელით:

ზაზა ავალიანი
დირექტორი
2019წლის19 აპრილი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

11-24გვერდებზემოთმოცემულიშენიშვნებიწარმოადგენსწინამდებარეფინანსურიანგარიშგებისგანუყოფელნაწილს.

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	15,607,016	15,121,831
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12	(11,654,444)	(10,815,048)
საერთო მოგება		**3,952,571**	**4,306,783**
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(3,270,822)	(3,007,461)
ცვეთის ხარჯი		(1,748,698)	(1,613,648)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(528,695)	(354,536)
მთლიანი საოპერაციო მოგება		**(1,595,644)**	**(668,862)**
კურსთა შორის სხვაობა		(192,364)	(25,723)
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		12,135	16,413
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	14	(304,457)	23,005
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(2,080,329)**	**(655,166)**
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		**(2,080,329)**	**(655,166)**

ხელმძღვანელობისსახელით:

ზაზა ავალიანი
დირექტორი
2019წლის19 აპრილი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგანმიღებული ფულადი სახსრები	14,113,105	13,991,738
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12,399,570)	(11,544,417)
გადახდილი გადასახადები	(1,955,121)	(1,767,543)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**(241,586)**	**679,778**
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,760)	
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	26,150	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**21,390**	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან		-
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	**(220,196)**	**679,778**
ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში	**1,298,077**	**618,299**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,077,881**	**1,298,077**

ხელმძღვანელობისსახელით:

ზაზა აგალიანი
დირექტორი
2019წლის19 აპრილი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

11-24გვერდებზემოცემულიშენიშვნებიწარმოადგენსწინამდებარეფინანსურიანგარიშგებისგანუყოფელწაწილს.

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

1. ზოგადიინფორმაცია

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"(შემდგომში „საზოგადოება") დაარსდა 2001 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა.
კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, აჭარის N8 მამულაშვილის 50.
2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო
კომპანიაწარმოადგენსჯგუფისმშობელკომპანიასდაფინანსურანგარიშგებაშიიკონსოლიდირებსშემდეგ შვილობილს:
შპს „თბილისის №1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი", შპს „თბილისის №2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი", შპს „თბილისის №5 ტუბდისპანსერი", შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო", რომელშიც 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 100%-იან წილს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან მომზადებული და დამტკიცებულია 2018 წლის 17აპრილს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.
ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:
- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარიუფლებები; და
- ნებისმიერიდამატებითიფაქტიანგარემოება, რომელიცმიანიშნებსიმაზე, რომკომპანისამჟამადაქვს, ანარაქვსუნარი, მართოსშესაბამისისაქმიანობაისეთდროს, როდესაცგადაწყვეტილებებისმიღებაასაჭირო,

მათშორისხმისმიცემისგამოცდილებაწინაპარტნიორებისკრებებზე.

შვილობილისაწარმოსკონსოლიდაციაიწყებამაშინ, როდესაცკომპანიამოიპოვებსკონტროლსშვილობილსაწარმოზედაწყდებამაშინ, როდესაცკომპანიაკარგავსკონტროლსშვილობილსაწარმოზე.

კერძოდ,

სს „ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

წლისგანმავლობაშიშეძენილიანგასხვისებულიშვილობილიკომპანიისშემოსავალიდახარჯებიაღირიცხებამოგება-ზარალისდასხვასრულიშემოსავლისკონსოლიდირებულანგარიშგებაშიიმთარიღიდან, როდესაცკომპანიაიძენსკონტროლს, იმთარიღამდე, როდესაცკომპანიისკონტროლიშვილობილკომპანიაზეწყდება.

საჭიროებისშეთხვევაშიხდებაშვილობილიკომპანიებისფინანსურიანგარიშგებისდაკორექტირება, რათამათისააღრიცხვოპოლიტიკაშესაბამისობაშიმოვიდესჯგუფისსააღრიცხვოპოლიტიკასთან.

ჯგუფისწევრებსშორისშემდგარგარიგებებთანდაკავშირებულიყველაშიდაჯგუფურივალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯიდაფულადინაკადიკონსოლიდაციისასსრულადელიმინირდება

2.3გამოცემულიახალიანრედაქტირებულისტანდარტებიდაგანმარტებები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

• *ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა*

- *ცვლილებებიფასს 10-შიდაბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაშიშედისბასს-სმიერდადგენილითარიღითანმისშემდეგდაწყებულიწლიურიპერიოდებისათვის).*

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა" (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების,შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები" - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4,რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით " - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოსმიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე.

ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 28-ში "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში " (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდაგამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებებიოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი

წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგალითად, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული

საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯული ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება" (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯებიდადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულიასაწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის" განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის" გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ეს შესწორებები პერსპექტიულია და კომპანია მათ გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში.

ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას. თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა" მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)".

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2.5ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

2.6ფინანსური აქტივები

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც.

სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.
ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.
მოთხოვნებისა და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.
კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

2.7ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.
საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.8 ამონაგები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.
სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.
კომპანიის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვეო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.
სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.
სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.
ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

2.9 საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით)
ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.10 სხვა შემოსავალი

სამედიცინო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.11 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

2.12 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარისვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.
კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარისვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.13მოგებისგადასახადი.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ანსაანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.
2016 წლის 13 მაისსაქართველოსმთავრობამმიიღოცვლილებებისაქართველოსსაგადასახადოკოდექსში, რომლისმიხედვითაცკომპანიებს (ბანკების, საკრედიტოდაწესებულებების, სადაზღვეოკომპანიებისდალომბარდებისგარდა) 2017 წლის 1 იანვრიდანარუწევთმოგებისგადასახადისგადახდამანამ, სანამარმოხდებააღნიშნულიმოგებისგანაწილებადივიდენდისსახითანარჩაითვლებაგანაწილებულად.
ფიზიკურპირებზეანარარეზიდენტიურიდიულპირებზედივიდენდისგაცემისმომენტშიხდება 15% მოგებისგადასახადის არიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდადივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანიგადასახადით, საჭიროებისამებრ, დაგაიყოფა 0.85-ზე). მიღებულიმოგებიდანრეზიდენტიურიდიულპირებზედივიდენდისგაცემა 2017 წლის 1 იანვრიდანთავისუფლდებამოგებისგადასახადისგან.
2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.
დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი წაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.14 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.15 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით,თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-25
სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	5-15
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა
არამატერიალური აქტივები	არ ერიცხება ცვეთა

2.16 მატერიალური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერილაური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.17 საანგარიშგებო პერიოდის შემგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.18 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით გაწუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალე-ობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავა-რაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

3. მნიშვნელოვან. სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სახელმწიფო პროგრამები	9,055,705	8,866,772
შიდა სტანდარტი	1,152,781	1,150,930
დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2,572,206	2,349,705
სხვა		

	2,826,324	2,754,424
	15,607,016	**15,121,831**

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეულის ღირებულება	(2,551,280)	(2,792,393)
შრომის ანაზღაურება	(8,316,022)	(7,349,251)
პაციენტების ტრანსპორტირება	(164,640)	(237,872)
დისპანსერების შესრულება	(622,503)	(435,532)
	(11,654,444)	**(10,815,048)**

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	(1,888,560)	(1,807,810)
საოჯარო გადასახადი	-	(32,004)
კომუნალური ხარჯები	(661,230)	(640,927)
ტრანსპორტის ხარჯები	(222,586)	(247,309)
მიმდინარე რემონტი	(150,465)	(175,074)
მივლინების ხარჯები	(316,161)	(88,612)
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	(15,427)	(8,198)
გადასახადები	(16,393)	(7,527)
	(3,270,822)	**(3,007,461)**

7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საოჯარო შემოსავალი	42,700	59,300
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	38,466	13,773
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(385,623)	(50,067)
	(304,457)	**23,005**

8. დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო წლებისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

9. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება					
დეკემბერი 31, 2016	**1,040,138**	**26,921,647**	**7,027,506**	**915**	**34,990,206**
მატება	2,521,113	2,766,762	663,537	2,239	**5,953,652**
კლება			(12,464)		**(12,464)**
დეკემბერი 31, 2017	**3,561,251**	**29,688,409**	**7,678,579**	**3,154**	**40,931,394**
მატება	3,150	2,400,000	161,217		**2,564,367**
კლება			(246,668)		**(246,668)**
დეკემბერი 31, 2018	**3,564,401**	**32,088,409**	**7,593,128**	**3,154**	**43,249,092**
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება					-
დეკემბერი 31, 2016		(6,269,186)	(3,789,987)		**(10,059,173)**
მიმდინარე წლის ცვეთა		(1,941,365)	(493,510)		**(2,434,875)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე		4,215	5,577		**9,792**
დეკემბერი 31, 2017	-	**(8,206,336)**	**(4,277,920)**	-	**(12,484,256)**
მიმდინარე წლის ცვეთა		(1,125,147)	(575,741)	(1,323)	**(1,702,211)**
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე			172,172		**172,172**
დეკემბერი 31, 2018	-	**(9,331,483)**	**(4,681,490)**	**(1,323)**	**(14,014,295)**
ნარჩენი ღირებულება					-
დეკემბერი 31, 2016	**1,040,138**	**20,652,461**	**3,237,519**	**915**	**24,931,033**
დეკემბერი 31, 2017	**3,561,251**	**21,482,074**	**3,400,659**	**3,154**	**28,447,137**
დეკემბერი 31, 2018	**3,564,401**	**22,756,927**	**2,911,638**	**1,831**	**29,234,797**

10. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეული და მასალები	1,533,466	1,559,511
	1,533,466	**1,559,511**

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოთხოვნები მომსახურებიდან	1,105,142	1,416,077
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(129,535)	(129,535)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	200	33,479
	975,807	**1,320,021**

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	110	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	388,826	262,784
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	688,946	1,035,293
	1,077,881	**1,298,077**

13. პირობითივალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მასახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური

განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა,შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვასექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტისერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას (შენიშვნა 11), პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტები	1,077,881	1,298,077
გაცემული სესხები .	-	-
ნასესხები თანხები	-	-
სხვა ვალდებულებები	890,648	1,078,349
	1,968,530	**2,376,426**

14. უცხოურივალუტისრისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარში და ევროშია დენომინირებული

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

	აქტივები	პასივები
	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2018
USD	84,294	-
EUR	575,744	-
სხვ.	-	
ჯამი	660,037	-

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე" მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

	გავლენა აქტივის 2018		გავლენა პასივის 2018	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
მოგება/(ზარალი)	132,007	(132,007)	-	-

15. საკრედიტორი'ჩკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა სამშენებლო მასალების წარმოება.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	975,807	1,320,021
ფული და ფულის ექვივალენტები	1,077,881	1,298,077
	2,053,688	2,618,098

16. ლიკვიდურიბისრისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირი თანხის ფულად ნაკადებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	-	-	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	890,648	890,648	890,648	-	-	-
	890,648	**890,648**	**890,648**	-	-	-

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.
კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის გარე სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნები.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი

	2018	2017
უმაღლესი რანგის ანაზღაურება	**578 305**	**485835**

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა

17 აპრილი 2019 წელი № 84-ა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ სს ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა და მისი შვილობილებილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირბულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზეარმოიცავსზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასდაარანაირიფორმისმარწმუნებელ დასკვნასარ წარმოვადგენთმასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობით ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის კობა ბერაძე.

კობა ბერაძე (რეგ. № SARAS-A-240325)
შპს „კომპაუდის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-519441)

17 აპრილი 2019 წ



კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

თბილისი
2019 წელი

ჯგუფი და მისი მართვა

აქციონერთა საერთო კრება

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“ შვილობილი კომპანიებით (შემდგომში „ჯგუფი“) 100% სახელმწიფოს მიერ მფლობელობაში მყოფ კომპანიებისაგან შედგენილი ჯგუფია. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ჯგუფის მართვის უმაღლეს ორგანოს და საკუთარი საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

ჯგუფისმართვა

აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ჯგუფში შემავალ თითოეულ კომპანიაში ანხორციელებს დირექტორი.

მართვის სტრუქტურა

ჯგუფის თითოეულ კომპანიაში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია კომპანიის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

1.1. საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის თითოეული კომპანია100% სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფიკომპანიაა და თითოეული წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა.

2017 წლის 28 დეკემბერის დადგენილება №592 „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საზოგადოების სახელმწიფო პროგრამულ მიზანსტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია წარმოადგენს.

ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში, ხოლო ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ტუბერკულოზის მხრივ კვლავაც შემაშფოთებელია, უპირველეს ყოვლისა წამალ- რეზისტენტული ტუბერკულოზის ტვირთის გამო, რომელიც ბოლო დროინდელი პოზიტიური ტენდენციების უარესობისკენ შეცვლისა და დაავადების საერთო ეკონომიკური და სოციალური ტვირთის შემდგომი ზრდის საფრთხეს წარმოადგენს. არსებული პრობლემების ეფექტურად გადასაწყვეტად საელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა ტუბერკულოზის

კონტროლის ეროვნული სტრატეგია „შეაჩერე ტუბერკულოზი“, რომლის მიზანი საქართველოში ტუბერკულოზის მათ შორის განსაკუთრებით M/XDR (მულტი/ექსტენსიური რეზისტენტული) ტუბერკულოზის გავრცელების შეჩერება (ხარისხიანი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა) და მისი ტვირთის შემცირება წარმოადგენს.

სს„ტუბერკულოზისა დაფილტვისდაავადებათაეროვნულიცენტრი“ ოპერირებსმხოლოდსაქართველოსტერიტორიაზედამისძირითადშემოსავალს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოპროგრამა, რომლის მოსარგებლეები არიან საქართველოსმოქალაქეები,საქართველოშიმუდმივად მცხოვრებიმოქალაქეობისარმქონედასაქართველოშიმყოფიბაქტერიაგამომყოფი (მგბ+)პირები დაპატიმრობისა დათავისუფლებისაღკვეთისდაწესებულებებში მყოფი პირები,კანონმდებლობითგათვალისწინებულიიდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტისქონისმიუხედავად.

1.2. ჯგუფის განვითარების გეგმები

ტუბერკულოზი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში, ხოლო ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ტუბერკულოზის მხრივ კვლავაც შემაშფოთებელია, უპირველეს ყოვლისა წამალ- რეზისტენტული ტუბერკულოზის ტვირთის გამო, რომელიც ბოლო დროინდელი პოზიტიური ტენდენციების უარესობისკენ შეცვლისა და დაავადების საერთო ეკონომიკური და სოციალური ტვირთის შემდგომი ზრდის საფრთხეს წარმოადგენს. არსებული პრობლემების ეფექტურად გადასაწყვეტად საელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული სტრატეგია „შეაჩერე ტუბერკულოზი“, რომლის მიზანი საქართველოში ტუბერკულოზის მათ შორის განსაკუთრებით M/XDR (მულტი/ექსტენსიური რეზისტენტული) ტუბერკულოზის გავრცელების შეჩერება (ხარისხიანი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა) და მისი ტვირთის შემცირება წარმოადგენს.

მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები

- ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის;
- Xpert MTB/RIFტექნოლოგიისფართოდდანერგვა
- ტუბერკულოზის დიაგნოსტიკური გამოკვლევები რეგიონულ და ეროვნულ დონეზე
- კონტაქტებისგამოკვლევა,სკრინინგიდატუბერკულოზის შემთხვევების აქტიური გამოვლენამაღალი რისკიჯგუფებში,მათშორისაივ-ითმცხოვრებ ადამიანებში
- ხარისხიან მკურნალობაზესაყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველაფორმის,მათ შორისM/XDR ტუბერკულოზისთვის პაციენტისსათანადომხარდაჭერა;
- ტუბ-საწინააღმდეგო პრეპარატების მოწოდება და წამლის მენეჯმენტის სისტემა
- პაციენტებისმხარდაჭერატუბერკულოზის სამკურნალორეჟიმისდაცვის

გასაუმჯობესებლად

- მკურნალობისმონიტორინგი,წამლისგვერდითირეაქციებისდათანმხლები დაავადებებისმართვა
- ტუბერკულიოზურიინფექციისკონტროლიდაცვისდაწესებულებებში
- ტუბერკულოზის საწინააღმდეგოპრევენციული მკურნალობადავაქცინაცია
- მხარდამჭერი გარემოსდა სისტემებისშექმნა ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლისმიზნით.
- ტუბერკულოზის ეროვნულიპროგრამისსუპერვიზირება, მონიტორინგიდაშეფასება
- სამოქალაქოსაზოგადოებისჩართულობა,ადვოკატირება, კომუნიკაციადასოციალურიმობილიზაცია(ACSM) ტუბერკულოზის კონტროლისმიზნით
- ტუბერკულოზისკონტროლისპრიორიტეტულისფეროებისკვლევა
- დისტანციური სწავლების პროგრამები - ჯანდაცვის მუშაკების უკეთ მოცვის; და მათთვის ტრენინგის მასალებზე რეგულარული წვდომის უზრუნველსაყოფად, გლობალური ფონდის დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში წარდგენილ განაცხადში გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო კურსების შემუშავება ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და MDR TB-ს მართვის სხვადასხვა ასპექტებზე. კომპიუტერული ტრენინგი ბევრი ქართველი ექიმისთვის იქნება ტუბერკულოზთან დაკავშირებული კომპეტენციების დახვეწის კარგი საშუალება.

- მოსახლეობისათვის მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით ტუბერკულოზის, ფილტვის დაავადებათა, პრევენციის, მკურნალობის,ტუბერკულოზისსახელმწიფოპროგრამის და„ტუბერკულოზისადაფილტვის დაავადებათაეროვნულიცენტრი“– სშესახებმეტიინფორმაციისმიწოდება;
- ორგანიზაციისმატერიალურ–ტექნიკურიბაზისგანახლება/გაუმჯობესება ტექნიკურიგადაიარაღება;
- შიდასტანდარტულიმომსახურებებისგაფართოება,ახალი მანიპულაციებისდამატებადამათიტარიფებისშემუშავება;
- ტუბერკულოზის მკურნალობის პროცესში თანამედროვე მეთოდების და ახალი ეფექტური მედიკამენტების გამოყენება;
- ტუბერკულოზის გავრცელების პრევენციის მიზნით მოსახლეობისათვის მასმედიის საშუალებებით მეტი ინფორმაციის მიწოდება;

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული ონკოლოგიური სიმძიმეების რეალიზება;
- სახელმწიფო პროგრამების მიღმა სხვა ალტერნატიული რესურსებიდან (შიდასტანდარტული მომსახურებიდან, საერთაშორისო დონორებიდან და ა.შ.) შემოსავლების ზრდა
- პაციენტთა მომსახურების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაფართოება
- მომსახურების ხარისხის, საიმედობის და შესაბამისად საწარმოს იმიჯის გაუმჯობესება

განვითარების რესურსები

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირების საშუალებით საჭირო ინფორმაციული, ინტელექუალური, მატერიელური რესურსების მოძიება, მობილიზება და მათი რეალიზება
- არსებული მაღალკვალიფიციური ექიმების ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება შიდა სტანდარტული მომსახურების შემოსავლების ზრდის მიზნით
- შვილობილი კომპანიების (ტუბდისპანსერების) საშუალებით სამედიცინო სერვისებზე ტერიტორიალური ხელმისაწვდომობის გაფართოება

1.3. ინფორმაციაჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი"–ს სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით, საწესდებო კაპიტალში შეტანის გზით გადმოეცა ოთხი ტუბსაწიინააღმდეგო დისპანსერის 100% აქციები, რომლებიც შესაბამისად საწარმოს შვილობილ კომპანიებს წარმოადგენენ და 2017 წლის 28 დეკემბერის დადგენილება №592 „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" როგორც საზოგადოების აგრეთვე მისი შვილობილი საწარმოების მიზანს სახეწლმწიფო პროგრამის თანახმად, ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება, ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების პრევენცია წარმოადგენს. ჯგუფის შვილობილი კომპანიებია:

1. შპს „აბასთუმნისტუბსაწინააღმდეგოსაავადმყოფო";
2. შპს „შპს თბილისის N1 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი";
3. შპს „შპს თბილისის N2 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი";
4. შპს „შპს თბილისის N5 ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი".

შპს „აბასთუმნისტუბსაწინააღმდეგოსაავადმყოფო"-ს გარდა ყველა შვილობილი კომპანიები ახორციელებენ მხოლოდ ამბულატორიულ მომსახურებას.

1.4. შიდა კონტროლის სისტემა

ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს საზოგადოების უმაღლესიხელმძღვანელობის, მენეჯმენტის და სხვა თანამშრომლების მიერ განხორციელებულიპოლიტიკის, ორგანიზაციული ღონისძიებების, პროცედურებისა და მოქმედებებისერთიანობას, რომელთაც უნდა უზრუნველყონ საზოგადოების მიზნების მიღწევისგონივრული რწმენა და მისაღებ დონემდე რისკების შემცირება.

საზოგადოების შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია საზოგადოების, მისი ცალკეულიქვედანაყოფების, საზოგადოების მართვის ორგანოების თანამდებობის პირების დასაზოგადოების აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსურ-სამეურნეოსაქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოსკანონმდებლობასთან, საზოგადოების წესდებასა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაზე.

შიდა კონტროლის სფეროში სს „ტუბერკულოზი და დაფილტვისდაავადებათაეროვნულიცენტრი“ ხელმძღვანელობს შემდეგი მიდგომებით:

- ✓ კორპორაციული მართვის და შიდა კონტროლის ორგანიზების და ეფექტურობის შეფასებისას შიდა კონტროლის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ✓ საზოგადოების ეფექტური კონტროლის გარემოს შექმნა იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების საშუალებით, რომელთაც ახორციელებს ხელმძღვანელობა მართვის ყველა დონეზე;
- ✓ შიდა კონტროლის ყველა სუბიექტს შორის ინფორმაციის გაცვლის საიმედო და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, მათ მიერ შიდა კონტროლის ფუნქციებისა და პროცედურების სათანადოდ შესრულების მიზნით;
- ✓ შიდა კონტროლის პროცესების ეფექტურობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემა ასევე მოიცავს:

- ✓ კორპორაციული მართვის საიმედოობის და ეფექტური ფუნქციონირების კონტროლი;
- ✓ გარე აუდიტის ფუნქციის დამოუკიდებლობის და ობიექტურობის უზრუნველყოფა;
- ✓ გარე აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობასა და აუდიტორული შემოწმების შესრულებისა და აუდიტორთა დასკვნების შესრულების ხარისხის შეფასება;
- ✓ კონტროლი უზრუნველყოფას საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების სისრულეზე, სიზუსტესა და უტყუარობაზე;
- ✓ საზოგადოების მუშაკებისა და მესამე პირების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პოტენციური შემთხვევების (ინსაიდერული ან კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი გამოყენების ჩათვლით), ასევე საზოგადოებაში სხვა დარღვევების შესახებ შეტყობინების სისტემის ფუნქციონირების კონტროლი;
- ✓ კონტროლი საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ზომებზე მუშაკების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების ან სხვა დარღვევების პოტენციური შემთხვევების ინფორმირების ფაქტებთან დაკავშირებით.

1.5. საკადრო პოლიტიკა და სოციალური საკითხები

1.5.1. საკადრო პოლიტიკა

საზოგადოება მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

ახალ თანამშრომელს პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. თანამშრომელს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

თანამშრომლის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავისი ანაზღაურება.

სს „ტუბერკულოზი და დაფილტვისდაავადებათაეროვნულიცენტრის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის დასაწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევასდა საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთიშემადგენელების მეშვეობით, როგორიცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- შრომითი კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „ტუბერკულოზი და დაფილტვისდაავადებათაეროვნულიცენტრი“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოებისმუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავსპერსონალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკებისშრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალიცოდნის მიღებაზე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევებისგანვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად და პროფესიონალურადმნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის გამოცდილების გამომუშავებაზე. მოცემული პროგრამისმთავარი მიზანია მუშაკების მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების(მოვალეობების) შესასრულებლად, ახალი თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის მიმართმოთხოვნებსა და რეალური სპეციალისტის ან მენეჯერის თვისებებს შორის განსხვავებებისდასაძლევად (პროფესიული განვითარება).

მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სს „ტუბერკულოზი და დაფილტვისდაავადებათაეროვნულიცენტრი“ საკადრო პოლიტიკა აგებულიაშემდეგ პრინციპებზე:

1. პერსონალის მართვის სისტემის ურთიერთკავშირი საზოგადოების საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკურ შედეგებთან;
2. საკადრო სტრატეგიის და პოლიტიკის მოქნილობა;
3. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის შრომითი პოტენციალის განვითარებაზე;

მუშაკების ანაზღაურება მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე;

1.5.2. სოციალური საკითხები

საწარმო ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ნაკისრივალდებულებებისშესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის წელიწადში ერთხელ უფასო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებით.

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და საწარმოს თანამშრომლებს მაღალი რისკის სფეროში უწევთ მოღვაწეობა. რათა მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს მწირი კვალიფიციური პერსონალის კერძო სექტორში გადინება და საწარმომ შეძლოს მასზე სახელმწიფოს

მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრების განსაკუთრებით საქმედიცინო პერსონალის შენარჩუნებას/მოტივაციის პროცესს და მათი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული კონკურენტული ანაზღაურებით უზრუნველყოფას. დასახული მიზნის მისაღწევად საწარმოს ხელმძღვანელობა ცდილობს განავითაროს მომსახურების დამატებითი მიმართულებები, კერძოდ კი შიდა სტანდარტული მომსახურების მიმართულებით დაინერგოს ახალი მანიპულაციები, გაიზარდოს პაციენტთა ნაკადი და მაქსიმალურად ხელი შეეწყოს სახელობითი სამეცნიერო კვლევის პროგრამებში მონაწილეობას.

1.6. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1.6.1. არაფინანსური მაჩვენებლები

1.6.1.1. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

ჯგუფი ზრუნავსგარემოსდაცვაზე და ნარჩენების მართვას ახორციელებს „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. სამედიცინო ნარჩენების განადგურება-უტილიზაცია ხორციელდება ტენდერში გამარჯვებული სპეციალიზირებული კონტრაქტორი კომპანიის საშუალებით.
საწარმო გარემოს დაცვის და ნარჩენების მართვის კუთხით ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- საწარმოს ფუნქციონირებისას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დაგეგმვა და კონტროლი
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილება და მავნე ზემოქმედების კონტროლი

თანამშრომელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით

1.6.1.2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

დასახელება	2018 მოგება ზარალი (კონსოლიდირებული)
სულ შემოსავალი	12,780,691.98
პროდუქციის თვითღირებულება	(11,654,444.28)
საერთო მოგება	**1,126,247.70**
სხვა შემოსავლები	2,826,323.77
კომერციული, ადმინისტრაციული და საერთი ხარჯები	(2,881,377.75)
სხვა ხარჯები	(2,666,837.63)
საოპერაციო მოგება/ზარალი	**(1,595,643.91)**
არასაოპერაციო შემოსავალი	189,998.69
არასაოპერაციო ხარჯი	(674,684.04)
წმინდა მოგება	**(2,080,329.26)**

დასახელება	2018 ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი (კონსოლიდირებული)
ფულადი სახსრები პეროდის დასაწყისში	1,298,077.01
სულ ფულადი სასხრების შემოსავალი	14,139,255.04
სულ ფულადი სახსრების გადინება	(14,359,450.64)
ფულადი სახსრები პეროდის ბოლოს	1,077,881.41

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია ფინანსური და არაფინანსური რისკები

2.1. ფინანსური რისკები

- ეროვნული ვალუტის გაუფასურება
- ენერგომატარებლებზე და წყალზე ფასების ზრდა
- სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების ზრდა
- მასალა ნედლეულზე (წამლები, რაქტივები და ა.შ) ფასების ზრდა
- პაციენტთა რაოდენობის შემცირება (ერთის მხროვ საწარმოს მიზანს ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხოვნების შემცირება , ხოლო მოერეს მხრივ საწარმოსთვის მოგების მიღება წარმოადგენს)

ფინანსური რისკების შემცირებისათვის საწარმო წლის დასაწყისში კანონის შესაბამისად ტენდერის სახით ახდენს საწვავის, სამომხმარებლო პროდუქციის, სამედიცინო პროდუქციის შეძენას.

2.2. არაფინანსური რისკები :

- დაავადების საწარმოს ტერიტორიიდან გავრცელების რისკი
- სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა
- სამედიცინო-სამკურნალო საშუალებების (წამლები, რეაქტივები და ა.შ) მიმოქცების მონიტორინგი და კონტროლი

არაფინასური რისკების მართვისათვის შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო ალგორითმი..

ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა და მისი გავრცელების რისკი დაავადებულთა ასეთი რაოდენობის კონცენტრაციის პირობებში ძალიან მაღალია. ხსენებული რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე ყველა დანაყოფში ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სადიზინფექციო და ტუბერკულოზით ჯანმრთელი ადამიანის ინფიცირების წინააღმდეგ შემუშავებული პროგრამა. თითიეულ თანამშრომელს უტარდება სპეციალური ინსტუქტაჟი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ამასთან ერთად საწარმოს სამედიცინო და ადმინისტრაციული ნაწილი შენობებში ისეა განლაგებული, რომ მათ ერთანეთთან კვეთა არ აქვთ. პაციენტებთან მხოდოდ სამედიცინო პერსონალს შესაბამისი პირობის დაცვით უწევს ურთიერთობა.

სპეციალიზირებული სამედიცინო აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ხდება მისი ჩანაცვლება გამართული აპარატურით, ხოლო დაზიანებული ტექნიკის აღსადგენად მისი სათადარიგო ნაწილის შეცვლა.

იქიდან გამომდინარე რომ ვადაგასული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში პაციენტთან მიმართებაში სავალალო შედეგით შეიზღება დასრულდეს, კომპანიაში შექმნილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამა , რომელიც საშუალება იძლევა წინასწარ დროულად ამოვიდეს ბრუნვიდან საწარმოში არსებული შესაბამისი სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები. ბუნვიდან ამოღებული ვადაგასული სამედიცინო-სამკურნალო საშუალებები, ინახება სპეციალურ საწყობში და ექვემდებარება მოქმედი კანონმდებლობით ჩამოწერას და განადგურებას/ უტილიზაციას.

დირექტორი **ზაზა ავალიანი**